ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №108

7 აპრილი 2014 წ.

დ.ჩოხატაურში, ლომთათიძის ქუჩაზე თხილის გადამამუშავებელი ქარხნისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების და გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ტარიელ ბერიძის მოთხოვნა, შესაბამისად შეთანხმებული იქნას წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გაიცეს დ. ჩოხატაურში, ლომთათიძის ქუჩაზე (ს.კ N28.01.23.118) თხილის გადამამუშავებელი საამქროსა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს ორი წლით.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი